gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 0616-57325 D 21 10 2016

შპს ,,რაგო ჯგუფის“ წარმომადგენელს
რაფიელ ქუთათელაძეს
მის. ხიზაბავრის ქ.№1ა
ტელ.599 51 64 46

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ განიხილა თქვენი განცხადება დარეგისტრირებული IN№16-55743 დათარიღებული 11.10.16 წ. ხიზაბავრის ქ.№1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი №01.11.12.019.148 მშენებლობის ნებართვის შესახებ.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთიზე საკადასტრო კოდი №01.11.12.019.148 გაედინება კომპანიის ბალანსზე რიცხული წყალსადენის d=1400 მმ მაგისტრალური ქსელი, ქსელის ზუსტი მდებარეობის დასადგენად საჭიროა ადგილზე შურფირება, რაც შესაძლებელია განხორციელდეს დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, მისივე ხარჯებით, ,,კომპანიის“ ზედამხედველობით.

გასათვალისწინებელია, რომ წყალსადენის ქსელებთან მიმართებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N 297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების“ დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარიული დაცვის ზონები. სანიტარიული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4. 000 – 00“) და სამშენებლო ნორმების და წესების (სნდაწ 2.04.02-84) თანახმად, წყალსადენის მილთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენის მილიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ - 20 მ-ისა, როცა წყალსადენის დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მილის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, სასაფლაოების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოწყობა და ფუნქციონირება.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად წყალსადენის ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: წყალსადენის შემთხვევაში არანაკლებ 5 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში, წყალსადენის ქსელიდან 5 მეტრამდე მანძილზე, ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი GEORGIAN WATER AND POWER LTD
მის: 0179 თბილისი, მ. კოსტავას 1 შესახვევი №33 ტელ: +995 (32) 293 11 11; ფაქსი: +995 (32) 298 26 07
ელ-ფოსტა: info@georgianwater.com www.georgianwater.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული სამშენებლო ნორმებისა და წესების ზემოაღნიშნული მოთხოვნები, მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის შემთხვევაში, მიყენებულ ზიანზე ,,კომპანია" იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

ამასთანავე, ,,კომპანია" გაცნობებთ, რომ თქვენ განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია გადიოდეს, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენის ქსელები, რომელთა შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობს.

ირაკლი გაბუნიადია
კომერციული დირექტორი

შემს. მ. ლოლაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com